

შპს „რუსტარ ონლაინ“ 406185159

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის უწყისი	
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება	
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	1
1. ზოგადი ინფორმაცია.....	1
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	2
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.....	12
4. განმარტებითი შენიშვნები.....	13
5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი.....	13
6. მარაგები.....	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
8. ძირითადი საშუალებები.....	14
9. არამატერიალური აქტივები.....	15
10. გადახდილი ავანსები.....	15
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	15
12. საწესდებო კაპიტალი.....	16
13. ამონაგები.....	16
14. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი.....	16
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	17
16. მოგების გადასახადი.....	17
17. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები.....	18
18. ფინანსური რისკის მართვა.....	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	20

შპს რუსტარ ონლაინ

2022

თანხები მოცემულია ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ბალანსი	12/21/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (ცვეთის გარეშე)	1,091,792	779,123	535,997
აკუმულირებული ცვეთა	(380,415)	(267,945)	(215,216)
არამატერიალური აქტივები ამორტიზაციის გარეშე	3,427	3,427	3,427
აკუმულირებული ამორტიზაცია	(2,087)	(1,851)	(1,572)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	-
კაპიტ. შევს. პარტნ. გრძელვ. მოთხ. მიმდინარე ნაწილი	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	712,717	512,755	322,636

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,167	1,162	656
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,182,629	471,880	374,370
გადახდილი ავანსები	188,103	282,720	-
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვი	10,407	10,407	10,407
მოთხოვნა სს თიბისი ბანკის მიმართ (ექვარიინგი)	459,401	156,834	64,752
ერთიანი სახაზინო ანგარიში	47,714	23,347	42,505
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	350	2,207	-
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
გადახდილი დღგ და სხვა გადასახადები	31,891	44,018	610
ფული საღაროში	-	8,366	24,848
ფული რეზიდენტ ბანკებში ლარი	13,228	20,426	64,729
ფული რეზიდენტ ბანკებში დოლარი	305,915	672,334	779,390
ფული რეზიდენტ ბანკში ექვარიინგი USD	403,675	425,650	382,772
მისაღები პროცენტები	-	-	-
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	11,124	13,245	-
სულ მიმდინარე აქტივები	3,657,604	2,132,597	1,745,040
სულ აქტივები	4,370,322	2,645,352	2,067,676

საკუთარიკაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	35,000	35,000	35,000
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	1,034,236	1,485,571	1,490,403
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	1,337,126	997,665	(4,832)
გადახდილი დივიდენდები	(500,000)	(1,449,000)	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები და დაფინანსება	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,906,363	1,069,236	1,520,571

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-

მიმდინარე ვალდებულებები



მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	234,845	98,915	34,937
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,767,534	758,432	512,123
გადასახდელი გადასახადები	11,265	7,670	-
გადასახდელი მომსახურება გიდები	-	-	-
გადასახდელი ხელფასები	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-
მიღებული ავანსები	450,315	711,099	-
გადასახდელი პროცენტები	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	-	-	45
საექვო და გაურკვეველი თანხები	-	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,463,959	1,576,116	547,105

სულ ვალდებულებები	2,463,959	1,576,116	547,105
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	4,370,322	2,645,352	2,067,676

მოგება - ზარალის უწყისი	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან დაუბეგრავი	11,263,784	6,418,809
შემოსავალი რეალიზაციიდან დასაბეგრი	2,047,501	801,650
სხვა საოპერაციო შემოსავლები & IT	3,226	476
PCR tests	17,882	271,213
სულ შემოსავალი	13,332,392	7,492,149

რპო

სასტუმრო მომსახურება	8,066,885	4,350,679
ავიაბილეთის ხარჯი	-	11,992
სამკურნალო პროცედურების ხარჯი	1,656,003	979,964
სარესტორნე მომსახურების ხარჯი	44,170	40,187
ტურისტების სასმელების ხარჯი	-	-
მუზეუმის ექსკურსიის გამოფენის ხარჯები	57,064	34,439
საწვავის ხარჯი	233,360	120,662
აუთვისებელი ოთახების ხარჯი	623	1,115
პირდაპირი ხელფასი	-	-
სატრანსპორტო ხარჯი	513,616	267,638
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	333	-
სულ რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	10,572,054	5,806,676

საერთო მოგება	2,760,338	1,685,473
----------------------	------------------	------------------

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ოფისის ხარჯები	11,787	7,619
შრომის ანაზღაურება	622,969	306,910
წლიური ბონუსი	-	-
ბონუსი	2,851	383
სოციალური (საპენსიო) გადასახადი	11,511	5,573
თანამშრომლების დაზღვევა	10,078	5,866
საწვავის ხარჯი	-	-
ოფისის იჯარა	77,741	73,658



კომუნიკაციის ხარჯები	9,292	5,633
კომპიუტერის ხარჯები	224	38
რეკლამის ხარჯი	78,663	2,587
ინფორმაციული	10,288	-
ავტომობილის იჯარა	-	-
ტრანსპორტირების ხარჯები	-	-
GPS ხარჯი	-	-
ავტომობილის რეცხვის ხარჯი	11,007	5,256
ავტომობილის რემონტის ხარჯი	26,131	24,380
ავტომობილის ექსპლუატაციის ხარჯი	100,223	49,375
ავტო სადგომის ხარჯი	4,394	2,296
ავტომობილების დაზღვევა	28,510	15,163
საკონსულტაციო ხარჯი	12,375	13,811
ელექტროენერგიის ხარჯები	-	-
კომუნალური ხარჯები	-	-
დასუფთავების ხარჯი	-	-
მიწის ნაკვეთის ხარჯები	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,331	1,808
დაცვის ხარჯები	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	140,048	79,775
საკანცელარიო ხარჯები	-	-
ქონების გადასახადი	-	-
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,953	4,160
დასაბეგრი ხარჯები	16,691	5,105
ბანკის ხარჯი	584	197
საკომისიო ხარჯები	-	-
ფოსტის ხარჯი	-	-
დომენის ხარჯი	-	-
პროგრამული მომსახ. ხარჯი	58,277	4,056
ნოტარიუსი	134	86
მომსახ. სხვა კომპანიებიდან	-	-
სხვა საერთო და ადმინ. ხარჯები	1,887	211
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,242,950	613,944
სულ საერთო ხარჯები	11,815,004	6,420,620
შედგენი საოპერაციო საქმიანობიდან	1,517,388	1,071,529

არასაოპერაციო შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლები	1,115	8,470
დარიცხული დივიდენდები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	-	-
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-
არასაოპერაციო მოგება	744,808	255,318
მიღებული ჯარიმები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	11,291	74,810
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	757,215	338,598

არასაოპერაციო ხარჯები

საპროცენტო ხარჯები	-	-
კონვერტაციით მიღებული ზარალი	158,882	60,547
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	-	-
საკურსო სხვაობით(გადაფასებით) მიღებული ზარალი	744,475	350,812



[Handwritten signature]

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	203
სულ არასაოპერაციო ხარჯები	903,357	411,561
მოგება დაბეგვრამდე	1,371,245	998,566
მოგების გადასახადი	34,119	901
წმინდა მოგება/ზარალი	1,337,126	997,665



შპს რუსტარ ონლაინ

2022

თანხები მოცემულია ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ბალანსი	12/21/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (ვვეთის გარეშე)	1,091,792	779,123	535,997
აკუმულირებული (ვვეთა)	(380,415)	(267,945)	(215,216)
არამატერიალური აქტივები ამორტიზაციის გარეშე	3,427	3,427	3,427
აკუმულირებული ამორტიზაცია	(2,087)	(1,851)	(1,572)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	-
კაპიტ. შევს. პარტნ. გრძელვ. მოთხ. მიმდინარე ნაწილი	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	712,717	512,755	322,636

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,167	1,162	656
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,182,629	471,880	374,370
გადახდილი ავანსები	188,103	282,720	
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვი	10,407	10,407	10,407
მოთხოვნა სს თიბისი ბანკის მიმართ (ექვაირინგი)	459,401	156,834	64,752
ერთიანი სახაზინო ანგარიში	47,714	23,347	42,505
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	350	2,207	-
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
გადახდილი დღგ და სხვა გადასახადები	31,891	44,018	610
ფული საღაროში	-	8,366	24,848
ფული რეზიდენტ ბანკებში ლარი	13,228	20,426	64,729
ფული რეზიდენტ ბანკებში დოლარი	305,915	672,334	779,390
ფული რეზიდენტ ბანკში ექვაირინგი USD	403,675	425,650	382,772
მისაღები პროცენტები	-	-	-
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	11,124	13,245	-
სულ მიმდინარე აქტივები	3,657,604	2,132,597	1,745,040
სულ აქტივები	4,370,322	2,645,352	2,067,676

საკუთარიკაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	35,000	35,000	35,000
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	1,034,236	1,485,571	1,490,403
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	1,337,126	997,665	(4,832)
გადახდილი დივიდენდები	(500,000)	(1,449,000)	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები და დაფინანსება	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,906,363	1,069,236	1,520,571

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-

მიმდინარე ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	234,845	98,915	34,937
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,767,534	758,432	512,123
გადასახდელი გადასახადები	11,265	7,670	-
გადასახდელი მომსახურება გიდები	-	-	-
გადასახდელი ხელფასები	-	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-
მიღებული ავანსები	450,315	711,099	-
გადასახდელი პროცენტები	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	-	-	45
საექვო და გაურკვეველი თანხები	-	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,463,959	1,576,116	547,105

სულ ვალდებულებები	2,463,959	1,576,116	547,105
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	4,370,322	2,645,352	2,067,676

მოგება - ზარალის უწყისი	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან დაუბეგრავი	11,263,784	6,418,809
შემოსავალი რეალიზაციიდან დასაბეგრი	2,047,501	801,650
სხვა საოპერაციო შემოსავლები & IT	3,226	476
PCR tests	17,882	271,213
სულ შემოსავალი	13,332,392	7,492,149

რბო

სასტუმრო მომსახურება	8,066,885	4,350,679
ავიაბილეთის ხარჯი	-	11,992
სამკურნალო პროცედურების ხარჯი	1,656,003	979,964
სარესტორნე მომსახურების ხარჯი	44,170	40,187
ტურისტების სასმელების ხარჯი	-	-
მუზეუმის ექსკურსიის გამოფენის ხარჯები	57,064	34,439
საწვავის ხარჯი	233,360	120,662
აუთვისებელი ოთახების ხარჯი	623	1,115
პირდაპირი ხელფასი	-	-
სატრანსპორტო ხარჯი	513,616	267,638
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	333	-
სულ რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	10,572,054	5,806,676

საერთო მოგება	2,760,338	1,685,473
----------------------	------------------	------------------

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ოფისის ხარჯები	11,787	7,619
შრომის ანაზღაურება	622,969	306,910
წლიური ბონუსი	-	-
ბონუსი	2,851	383
სოციალური (საპენსიო) გადასახადი	11,511	5,573
თანამშრომლების დაზღვევა	10,078	5,866
საწვავის ხარჯი	-	-
ოფისის იჯარა	77,741	73,658

კომუნიკაციის ხარჯები	9,292	5,633
კომპიუტერის ხარჯები	224	38
რეკლამის ხარჯი	78,663	2,587
ინფორმაციის ხარჯი	10,288	-
ავტომობილის იჯარა	-	-
ტრანსპორტირების ხარჯები	-	-
GPS ხარჯი	-	-
ავტომობილის რეცხვის ხარჯი	11,007	5,256
ავტომობილის რემონტის ხარჯი	26,131	24,380
ავტომობილის ექსპლუატაციის ხარჯი	100,223	49,375
ავტო სადგომის ხარჯი	4,394	2,296
ავტომობილების დაზღვევა	28,510	15,163
საკონსულტაციო ხარჯი	12,375	13,811
ელექტროენერგიის ხარჯები	-	-
კომუნალური ხარჯები	-	-
დასუფთავების ხარჯი	-	-
მიწის ნაკვეთის ხარჯები	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,331	1,808
დაცვის ხარჯები	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	140,048	79,775
საკანცელარიო ხარჯები	-	-
ქონების გადასახადი	-	-
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,953	4,160
დასაბეგრი ხარჯები	16,691	5,105
ბანკის ხარჯი	584	197
საკომისიო ხარჯები	-	-
ფოსტის ხარჯი	-	-
დომენის ხარჯი	-	-
პროგრამული მომსახ ხარჯი	58,277	4,056
ნოტარიუსი	134	86
მომსახ სხვა კომპანიებიდან	-	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,887	211
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,242,950	613,944
სულ საერთო ხარჯები	11,815,004	6,420,620
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	1,517,388	1,071,529

არასაოპერაციო შემოსავლები

საპროცენტო შემოსავლები	1,115	8,470
დარიცხული დივიდენდები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	-	-
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-
არასაოპერაციო მოგება	744,808	255,318
მიღებული ჯარიმები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	11,291	74,810
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	757,215	338,598

არასაოპერაციო ხარჯები

საპროცენტო ხარჯები	-	-
კონვერტაციით მიღებული ზარალი	158,882	60,547
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	-	-
საკურსო სხვაობით(გადაფასებით) მიღებული ზარალი	744,475	350,812

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	203
სულ არასაოპერაციო ხარჯები	903,357	411,561
მოგება დაბეგრამდე	1,371,245	998,566
მოგების გადასახადი	34,119	901
წმინდა მოგება/ზარალი	1,337,126	997,665

კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 2022წ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	35,000	1, 485,571	1, 520,571
გაცემული დივიდენდი	-	(1,449,000)	(1,449,000)
პერიოდის შედეგი	-	997,665	997,665
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35,000	1,034,236	1,069,236
გაცემული დივიდენდი	-	(500,000)	(500,000)
პერიოდის შედეგი	-	1,337,126	1,337,126
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35,000	1,871,363	1,906,363

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რუსტარ ონლაინ“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 406185159, დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 26, სართული 2.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტურისტული მომსახურების მიწოდება. კომპანია ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ქვეყნებიდან ტურისტების შემოყვანას საქართველოში. ამ მიზნით კომპანია თანამშრომლობს უცხო ქვეყნების ტუროპერატორებთან და სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს მათ მიერ გამოგზავნილ ტურისტებს. მომსახურება მოიცავს შემდეგი სახის საქმიანობებს: ტურისტების სასტუმროთი უზრუნველყოფა, ტრანსფერის სერვისი(მათი დახვედრა და გაცილება) საქართველოს ტერიტორიაზე ექსკურსიების და გასვლითი ტურების ორგანიზება. ამ ტურებში გიდის სერვისი, ტრანსპორტით უზრუნველყოფა. კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან: ზურაბ ლეჟავა, 01006000291 - 30.33%;

დავით გაბადაძე, 41001000362 - 5.00%;

შპს რუსტარ ჰოლდინგს, 402116866 - 64.67%

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წარდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის უწყისს, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს. არ წარადგენს ქეშის მოძრაობის ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით საწარმო მოახდენს აქტივების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

საქმიანობის უწყვეტობა

შპს რუსტარ ონლაინი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევების და სირთულეების წინაშე დადგა. შპს რუსტარ ონლაინმა არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები და ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მომავალ პერიოდშიც იმ შემთხვევაში თუ არ დაიკეტება საქართველოს საჰაერო სივრცე ავიაიმომოსვლებისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრულ მომავალ ფულად ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივაციული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და

განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას

(როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნაშთის შემცირების მეთოდით:

კომპიუტერები	20%
ავეჯი ოფისისათვის	20%
მსუბუქი ავტომობილები	20%
არამატერიალური აქტივები	15%

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შეძენილ პროგრამულ უზრუნველყოფებს, მიღებულ სავაჭრო ნიშნებს და პატენტებს.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთა სასარგებლო ექსპუატაციის ვადის პროპორციულად.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავალი აღიარდება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს. ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ტურისტული და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი ტურისტული და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან

კომპანია მომხმარებლებს აწვდის ტურისტულ მომსახურებას. შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის ტურისტული მომსახურება, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება

მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი.
გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით.
წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო საერალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო საერალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლილების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სესხები

სასესხო აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღირიცხება, როგორც ფინანსური შემოსავალი/ხარჯი.

მოკლევადიან სესხებად კლასიფიცირდება მოთხოვნამდე სესხები ან სესხები, რომლის დაფარვის უპირობო ვალდებულება არაუმეტეს 12 თვეა, ხოლო გრძელვადიან სესხებად კლასიფიცირდება ის სესხები, რომლის დაფარვის ვალდებულება 12 თვეს აჭარბებს.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, ხოლო მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ, თუკი მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ამონაგების აღიარება ხდება უკვე მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დღგ-ს გარეშე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

4. განმარტებითი შენიშვნები**5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი**

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	8,366	24,848
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13,228	20,426	64,729
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	709,590	1,097,985	1,162,163
სულ	722,818	1,126,777	1,251,740

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021	
01.01.2021			
საწვავი	3,167	1,162	656
სხვა მარაგები	0	0	0
სულ	3,167	1,162	656

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
სავაჭრო მოთხოვნები	2,652,437	639,120	449,529
სულ	2,652,437	639,120	449,529

8. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები	ავეჯი	ავტომობილები	საოფ. ინვენტ.	სულ
საწყისი ნაშთი, 31.12.2020	17,988	4,841	483,320	5,029	511,178
შემოსვლა	1,411	2,907	347,471	3,520	355,309
გასვლა	353	508	41,778	0	42,639
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	3,556	1,001	106,507	1,407	112,470
საბოლოო ნაშთი, 31.12.2021	15,490	6,239	682,507	7,142	711,377

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

საწყისი ნაშთი, 31.12.2021	1,577
შემოსვლა	0
გასვლა	0
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	237
საბოლოო ნაშთი, 31.12.2022	1,340

10. გადახდილი ავანსები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
საგადასახადო აქტივი	79,605	67,365	43,115
გადახდილი ავანსები	188,453	284,927	0
სულ	268,058	352,292	43,115

საგადასახადო აქტივი დაგროვდა გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლის შედეგად.

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
სავაჭრო ვალდებულებები	2,002,378	857,347	547,060
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	45
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	11,265	7,670	0
მიღებული ავანსები	450,315	711,098	0

სულ	2,463,959	1,576,116	547,060
-----	-----------	-----------	---------

12. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის განმავლობაში კომპანიას საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განუხორციელებია. კომპანიას საწესდებო კაპიტალი, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 35,000 ლარს.

13. ამონაგები

	2022	2021
ტურისტული მომსახურებიდან დაუბეგრავი	11,263,784	6,418,809
ტურისტული მომსახურებიდან	2,047,501	801,650
სხვა საოპერაციო შემოსავლები	21,107	271,690
სულ	13,332,392	7,492,149

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს წარმოადგენს ტურისტული ჯავშნის ღირებულება. კერძოდ, უცხოელი კონტრაგენტებისგან ხდება ტურისტულ მომსახურებაზე შეკვეთების მიღება და შემდგომ მომსახურების გაწევა. შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის შემდგომ. კომპანია არ ბეგრავს დამატებითი ღირებულების გადასახადით იმ შემოსავლებს, რომლებიც ხვდება 168-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტში. (ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება).

14. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

თვითღირებულება

	2022	2021
სასტუმროს მომსახურება	8,066,885	4,350,679
ავიაბილეთების ხარჯი	0	11,992
სასტუმროს სამკურნალო პროცედურების მომსახურება	1,656,003	979,964

ტურისტების სარესტორნე მომსახურება	44,170	40,187
ექსკურსიები, გამოფენები, მუზეუმები	57,064	34,439
საწვავის ხარჯი	233,360	120,662
აუთვისებელი ოთახების ხარჯი	623	1,115
პირდაპირი ხელფასი	0	0
სატრანსპორტო ხარჯი	513,616	267,638
სხვა ხარჯი	333	0
სულ	10,572,054	5,806,676

თითოეული ჯავშნის თვითღირებულებას შეადგენს შესაბამისი მომსახურების გაწევაზე დახარჯული თანხა.

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021
ხელფასი	622,969	306,910
საიჯარო ხარჯი	77,741	73,658
ცვეთა და ამორტიზაცია	140,048	79,775
ბონუსის ხარჯი	2,851	383
საპენსიო ხარჯი	11,511	5,573
თანამშრომელთა დაზღვევა	10,078	5,866
ოფისის ხარჯები	11,787	7,619
კომუნიკაციის ხარჯი	9,292	5,633
კომპიუტერის ხარჯი	224	38
რეკლამის ხარჯი	88,952	2,587
ავტომობილების ხარჯი	141,755	81,307
ავტომობილების დაზღვევა	28,510	15,163
საკონსულტაციო ხარჯი	12,375	13,811
მივლინების ხარჯი	0	0
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,331	1,808
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	79,526	13,814
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,242,950	613,944

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს ხელფასებსა და ბონუსებთან დაკავშირებული ხარჯები.

16. მოგების გადასახადი

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენეს.

17. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები, რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებით ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებით გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებული საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 5) მენეჯმენტი ადგენს ფულის ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე, რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

19. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.